F75 N165

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი — ორგან центрального и тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი
18 ოქტომბერი
1940 წ.
№ 243 (5944)
ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკურად მოვაწყოთ ლექციური პროპაგანდა

ქვალიფიციური ლექციები, რომლებიც ფართოდ დამკვიდრდა პრაქტიკაში, წარმოადგენენ მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვან მეთოდს. ღრმა იდეურ - თეორიული შინაარსის მქონე ლექცია უდიდეს დახმარებას უწევს ბოლშევიზმის თეორიის შემსწავლელ ამხანაგებს, ეხმარება მათ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაში, აღძრავს მათში დაუცხრომელ ინტერესს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლებისადმი.

ამიტომ სარგებლობენ ასეთი დიდი პოპულარობით ლექციები პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან მასებში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლექციები ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ტარდება იქ, სადაც ამ საქმეს წარმართავენ გამოცდილი პროპაგანდისტები, სადაც დიფერენცირებულად უდგებიან აუდიტორიის შემადგენლობას, სადაც მიღწეულია ცენტრალიზაცია პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობაში.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა“ და სტალინური ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ პარტიულმა პროპაგანდამ უმაგალითო გაქანება ჰპოვა. ძველ, კვალიფიციურ ლექტორებთან ერთად საპროპაგანდო სამუშაოზე დაწინაურებულ იქნენ ნიჭიერი, მარქსისტულად მომზადებული ახალგაზრდა ლექტორები. ისინი გულმოდგინედ ამზადებენ ლექციებს და უსაზღვრო სიყვარულით ასრულებენ ბოლშევიზმის დიადი იდეების პროპაგანდისტის სპეციალურ მოვალეობას. ამის საილუსტრაციო მაგალითები ახლა საკმაოდ ბევრია.

მაგრამ პროპაგანდის ლექციურ სისტემაში ჯერ მაინც აქვს ადგილი კუსტარულობისა და ფორმალიზმის ელემენტებს, ჯერ კიდევ საბოლოოდ ლიკვიდირებული არ არის თვითდინების პრაქტიკა. ლექციების თემატიკაში არც თუ იშვიათად ვხვდებით ერთფეროვნებას, კადრების სხვადასხვა ჯგუფების მომზადების დონისადმი არადიფერენცირებულ მიდგომას, ლექციების კაზიონურად მოწყობას, მოსაწვევი ბილეთების მექანიკურად „განაწილებას“ და ა. შ.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დამყარებული არ არის ნამდვილი ბოლშევიკური კონტროლი ლექციურ მუშაობაზე, რის შედეგადაც ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. იმის გამო, რომ ზოგჯერ წინასწარ გულმოდგინედ არ იხილავენ ლექციების თემატიკას, არ არჩევენ ლექციის იდეურ შინაარსს, ტარდება სახელდახელოდ შეთითხნილი „ლექციები“, ან და ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეს აშკარად შეუფერებელი ადამიანები ასრულებენ.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ კაპრის პარტიული სკოლის მოსწავლეებისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ყოველგვარ სკოლაში ყველაზე მნიშვნელოვანია ლექციების იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება?— აყენებდა კითხვას ვლადიმერ ილიას-ძე და იქვე უპასუხებდა: — მთლიანად და განსაკუთრებით **ლექტორთა შემადგენლობით.**

როგორც სჩანს, ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში საკმარისი ყურადღება არ ექცევა ლექტორთა შემადგენლობას და ლექციური მუშაობის ორგანიზაციას, რის შედეგადაც ჩატარებული ლექციების ხარისხი ხშირ შემთხვევაში დაბალია.

ამასწინათ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა აჭარის, ქუთაისის, გურჯაანისა და სამტრედიის პარტიულ ორგანიზაციებში ლექციური მუშაობის საკითხი. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ხსენებულ ორგანიზაციებში ლექციურ მუშაობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ ხელმძღვანელობენ ყოველდღიურად ლექტორთა ჯგუფებს, საკმაოდ არ ამოწმებენ ლექციების შინაარსს, რის შედეგადაც ჩატარებული ლექციებს ხარისხი ხშირად დაბალია.

ჩვენი გაზეთის მკითხველები დღევანდელ ნომერში გაეცნობიან, თუ რა ზერელედ და მოუფიქრებლად ატარებდა ზოგიერთი ამხანაგი ლექციებს ბათუმში, ქუთაისში, გურჯაანისა და სამტრედიის რაიონებში.

მთელ რიგ შემთხვევებში ლექტორთა ჯგუფები, რომლებიც მოწოდებული არიან წინასწარ გაეცნიხლონ ლექციები, ამოიღონ იქიდან პოლიტიკურად გაუმართლებელი ფორმულირებანი და დაეხმარონ ლექტორს ლექციისათვის სწორი იდეურ-პოლიტიკური მიმართულების მიცემაში, ფორმალურად უდგებიან საქმეს. ზოგჯერ ლექტორთა ჯგუფებში იკრიბებიან არა იმისათვის, რომ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა გასწიონ, არამედ იმისათვის, რომ მოუსმინონ კოლეგას და შემდეგ ნება დართონ მას წაიკითხოს ლექცია აუდიტორიის წინაშე. მაგალითად, აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში წაკითხული 207 ლექციიდან მხოლოდ 20 ლექცია არის განხილული ლექტორთა ჯგუფში. ზერელედ უდგებიან ლექციების წინასწარ განხილვას სამტრედიისა და გურჯაანის რაიონებშიც.

რა ხდება ყოველივე ამის შედეგად?

ამხ. ართილაყეამ (ბათუმი) თავის ლექციაში „სოციალიზმიდან კომუნიზმში „თანდათანობით გადასვლის შესახებ“ ვერ მოგვცა სოციალიზმისა და კომუნიზმის ამომწურავი დახასიათება, არასაკმარისად გააშუქა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საკითხი და ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხი.

მთელ რიგ პოლიტიკურად არაზუსტ ფორმულირებებს შეიცავდა ლექტორ ბოჭორიშვილის (სამტრედიის), ნადირაძის (ქუთაისი), მატატაშვილის (გურჯაანი) და სხვათა ლექციები.

კიდევ მეტი. ქუთაისში ზოგიერთ შემთხვევებში ლექციებს მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლებზე კითხულობენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ცნობილი არ არიან საქალაქო კომიტეტისათვის. გურჯაანის, სამტრედიის და სხვა რაიონებშიც პარტიის რაიკომების და, კერძოდ, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები არ ითვალისწინებენ კადრების კულტურული მომზადების დონეს და მოთხოვნილებების მიხედვით არ ადგენენ ლექციების თემატიკას.

მაგალითად, ამასწინათ გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში ლექტორმა გოგიბერაშვილმა ჩაატარა ლექცია „დიალექტიკის ძირითად ნიშნებზე“. ლექცია ცუდად არ ყოფილა მომზადებული, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონდა, მხოლოდ იმის გამო, რომ აუდიტორია ამ თემისათვის შესაფერისი არ იყო.

ფაქტიური მასალები პროპაგანდის ლექციური სისტემის მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ, მთელი სიცხადით გვიჩვენებენ, რომ ჯერ კიდევ მიღწეული არ არის სრული ცენტრალიზაცია პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობაში. პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სისტემატურად არ იხილავენ ლექციური მუშაობის მდგომარეობის საკითხებს, არ ამოწმებენ ლექციების თემატური გეგმების შესრულების შედეგებს, არ ანხორციელებენ კონტროლს ლექციების იდეურ შინაარსზე.

ლექციები ფრიად პასუხსაგები საქმეა. ყველას როდი შეუძლია შეასრულოს მარქსიზმ - ლენინიზმის იდეების პროპაგანდისტის მოვალეობა. ლექციებს უნდა ატარებდნენ ყოველმხრივ შემოწმებული, მარქსისტულად განათლებული და ფართო კულტურული ჰორიზონტის მქონე ადამიანები. ლექციური მუშაობისათვის ფართოდ უნდა იქნან გამოყენებულნი პოლიტიკურად გამოწრთობილი მეცნიერული ძალები, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების მცოდნე ამხანაგები. საქმე ეხება ჩვენი კადრების შეიარაღებას ბოლშევიზმის მეცნიერებით, **მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრებით და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ვალდებულნი არიან ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციონ, არსებითად უხელმძღვანელონ.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ

ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებმა ოსტროვსკიმ და ალექსანდროვმა გამოიგონეს ელექტრობურღი. სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სრულიად - საკავშირო ელექტროტექნიკურმა ინსტიტუტმა ქლექტრობურღი სცნეს შესანიშნავ გამოგონებად, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჭაბურღილების გათხრის ტექნიკას.

ოსტროვსკი და ალექსანდროვი წამოყენებული არიან სტალინის სახელობის პრემიის მოპოვების კანდიდატებად.

სრულიად - საკავშირო ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, მეცნიერი თანამშრომლის ამხ. ანდრიანოვის ინიციატივით, დამუშავებულია იზოლაციურ სითხეთა მიღების მეთოდი. ამ ნაშრომს დიდი სამეცნიერო - პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სრულიად - საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო - ტექნიკურმა საბჭომ, გაითვალისწინა რა ამხ. ანდრიანოვის ხელმძღვანელობით შესრულებული მუშაობის განსაკუთრებული ეფექტურობა, იგი სტალინის სახელობის პრემიის მიღების კანდიდატად წამოაყენა.

სტალინის სახელობის პრემიის მოპოვების კანდიდატებად წამოყენებული არიან აგრეთვე სრულიად - საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები იოსიფიანი, სვეჩარნიკი და მოიცესი.

იოსიფიანმა და სვეჩარნიკმა დაამუშავეს ავტომატიკისა და ტელემექანიკის აპარატების ორიგინალური კონსტრუქცია; ამ აპარატებს ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ახალი ტიპის აპარატებს დიდი უპირატესობა აქვთ საკონტაქტო აპარატებთან შედარებით. ისინი უნაკლოდ და დიდი სიზუსტით მუშაობენ. შემოწმებულ იქნა უკონტაქტო აპარატების პირველი საცდელი პარტია. შემოწმების შედეგები საუსებით დამაკმაყოფილებელია.

მოიცესმა გამოიგონა კომპენსირებული რეაქტორი მოკლეშერთვის დენის შესამცირებლად. ასეთი რეაქტორის გამოყენება უფრო საიმედოს გახდის ელექტროქსელებს მუშაობას, შეამცირებს ავარიულობას, საშუალებას მოგვცემს ხელი ავიღოთ ძვირადღირებულ და დიდ ძალგამომრთველებზე (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ხარკოვი. ამჟამად ბრძოლების წიდის 70 პროცენტს უსარგებლოდ ჰყრიან. სამშენებლო მასალათა სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტის ინჟინრის ივანოვის მიერ გაკეთებული საღუმელე აგრეგატი საშუალებას მოგვცემს ეს წიდა გადავაქციოთ ძვირფას ნედლეულად საგზაო ძელაკების, მოსაპირკეთებელი ფილების, კრამიტისა და სხვ. დასამზადებლად. ლაბორატორიულმა ცდებმა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცეს.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲖᲘᲛᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲠᲗᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ. სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ზიმონტმა გააკეთა აპარატი — ორთოსკოპი სასუნთქი გზებიდან და საყლაპავი მილიდან იქ მოხვედრილ უცხო სხეულთა ამოსაღებად ისე, რომ ოპერაცია არ გაკეთდეს. აპარატი უკვე 300-ზე მეტჯერ იქნა გამოყენებული. პაციენტები იყვნენ უმთავრესად 3-5 წლის ბავშვები. წელს დამზადდება ასამდე ორთოსკოპი.

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲝᲛᲜᲐ

ᲙᲝᲚᲝᲛᲜᲐ (მოსკოვის ოლქი). ამ დღეებში კოლომნის რაიონის „სვენოსოვხოზის“ მეურნეობაში დამთავრდა კარტოფილის ამოსაღები საექსპერიმენტო კომბაინების გამოცდა. საუკეთესო აღმოჩნდა კარტოფილის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კომბაინი, რომელიც ინჟინერმა ჩირკუნოვმა გააკეთა. იგი ორმწკრივად თხრის კარტოფილს, მიწას და ღეროს აცლის ბოლქვს და ჰყრის სტანდარტულ კალთებში, რომლებიც ავტომატურად ეშვება მიწაზე. მანქანას მომსახურებას უწევს სამი მუშა და ერთი ტრაქტორისტი. მისი დღიური ნაყოფიერებაა 3 ჰექტარზე მეტი. ასეთი მანქანა არცერთ ქვეყანაში არ მოიპოვება.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ვ. ი. ელისეევი** გაათავისუფლა სრულიად მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილისა და სრულიად მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან (საკდესი).

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა შემდეგი დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შესახებ:

1. „სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის კომისარიატის შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი ანხორციელებს უმკაცრეს კონტროლს იმ სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა და ხარჯვაზე, რომლებიც სახელმწიფო კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა და საწარმოთა განკარგულებაშია, აგრეთვე ამოწმებს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

4. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

ა) ყოველდღიური, როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლი მე-3 მუხლში აღნიშნული სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა, შენახვასა და ხარჯვაზე.

ბ) გეგმით გათვალისწინებული და უეცარი სახელმწიფო რევიზიების ჩატარება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის ან, შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრების მითითებათა მიხედვით;

გ) სსრ კავშირის მთავრობისათვის დასკვნების მიცემა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

დ) სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების შემოწმება როგორც მისი დავალებით, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის შეხედულებისამებრ.

5. სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვისა და ხარჯვის კონტროლს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი შემდეგი გზით ანხორციელებს:

ა) ამოწმებს და რევიზიას უკეთებს, თუ რამდენად კანონიერია ოპერაციები და რამდენად შეესაბამება ხარჯები გეგმით გათვალისწინებულ დანიშნულებასა და დაწესებულ ნორმებს.

6. საწარმოებში, საწყობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წინასწარი კონტროლი ხორციელდება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის ან მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრების შეხედულებისამებრ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა წინასწარი კონტროლის ჩატარება გათვალისწინებულია კანონებით ან მთავრობის გადაწყვეტილებებით.

წინასწარი კონტროლი ტარდება ხარჯთაღრიცხვების, საგასავლო ფულადი დოკუმენტების, მატერიალურ ფასეულობებზე წარდგენილ განაცხადთა და განაწესთა შემოწმების გზით, ამასთან სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კონტროლიორს უფლება აქვს ყადაღა დაადოს მთელ ხარჯს ან მის ნაწილს.

იმ მატერიალური ფასეულობისა და გასავლის მუხლების ნუსხა, რომელთა მიმართაც სავალდებულოა წინასწარი კონტროლი, აგრეთვე წინასწარი კონტროლის ჩატარების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მიერ გამოცემული წესებით.

7. შემდგომი კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მდგომარეობის საბელმწიფო რევიზიის გზით, აგრეთვე საბუხჰალტრო ჩაწერათა საანგარიშგებო და დოკუმენტური მონაცემების შემოწმების გზით.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა:

ა) მისცეს ყველა სახალხო კომისარიატისათვის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველოებისა და კომიტეტებისა და მათი ადგილობრივი ორგანოებისათვის, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოსა, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო მითითებანი სახელმწიფო კონტროლის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მათ მიერ ანგარიშების, ახსნა-განმარტების, ცნობებისა და სხვა მასალის წარდგენის შესახებ;

ბ) კონტროლისა და რევიზიის პროცესში სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა, შენახვასა და ხარჯვაში აღმოჩენილი ყველა ნაკლი, აგრეთვე მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შეუსრულებლობის ფაქტები აცნობოს იმ დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს სათანადო ხელმძღვანელებს, რომლებსაც რევიზია ეწევა, და მისცეს მათთვის სავალდებულო მითითებანი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი მთავრობას მოახსენებს რევიზიის შედეგებს და სახელმწიფო კონტროლის მიერ მიცემულ მითითებებს;

გ) იმათ, ვინც დამნაშავეა მთავრობის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაში, აღრიცხვის ჩამორჩენაში, მატერიალურ და ფულად ფასეულობათა უყაირათოდ შენახვასა და ხარჯვაში, სახელმწიფო კონტროლის ორგანოებისათვის არასწორი ცნობების წარდგენაში, — დაადოს დისციპლინარული სასჯელი: მითითება, საყვედური, სასტიკი საყვედური, თანამდებობიდან გადაყენება.

ზემოაღნიშნულ სასჯელს აღრიცხავს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი, და ეს სასჯელი შეიტანება პირად საქმეში ან ნამსახურობის სიაში და, მისი მითითებით, შეიძლება გამოქვეყნებულ იქნას პრესაში;

დ) დააწროს ფული, მთავრობის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად, თანამდებობის იმ პირთ, რომლებმაც ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს;

ე) იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ბოროტმოქმედება და სხვა დანაშაულებრივი მოქმედება, დამნაშავენი დადგენილი წესით მისცეს სამართალში.

9. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატში იქმნება სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სახალხო კომისრის წარდგენით.

10. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება შემდეგი თანამდებობანი: მთავარი კონტროლიორი გარკვეული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისათვის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარ სამმართველოსა და კომიტეტისათვის, უფროსი კონტროლიორი, კონტროლიორი და კონტროლიორის თანაშემწე.

11. რევიზიის საწარმოებლად სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისართან იქმნება უფროსი რევიზორებისა და რევიზორების თანამდებობა.

12. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მთავარ კონტროლიორებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის წარდგენით, ხოლო უფროს კონტროლიორებს და უფროს რევიზორებს, კონტროლიორებსა და რევიზორებს და კონტროლიორების თანაშემწეებს ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს შეუძლია თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ექსპერტები და საქმის მცოდნე სხვა პირნი.

13. ადგილებზე კონტროლის განსახორციელებლად სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს შეუძლია თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს საკავშირო ქვემდებარების უმნიშვნელოვანეს საწარმოებში, რკინიგზებზე, საწყობებსა და დაწესებულებებში — უფროსი კონტროლიორები და კონტროლიორები;

ბ) სამხედრო ოლქებში, არმიებსა და ფლოტებში — უფროსი კონტროლიორები და კონტროლიორები; დივიზიებში, ნავსადგურებსა და სამხედრო საწყობებში— კონტროლიორები.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის უფროსი კონტროლიორები და კონტროლიორები სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარს ექვემდებარებიან და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებენ.

ადგილობრივი კონტროლიორების უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის ინსტრუქციებით.

16. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატების საქმიანობას.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატების მთავარ კონტროლიორებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრებთან შეთანხმებით.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატების უფროს კონტროლიორებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან შეთანხმებით.

17. სახელმწიფო კონტროლის კონტროლიორები და რევიზორები ვალდებული არიან თავის დროზე და გულდასმით განახორციელონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი, მათ თავიანთი საქმიანობისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევთ სახელმწიფოს წინაშე.

18. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება:

ა) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება;

ბ) კადრების სამმართველო;

გ) იურიდიული განყოფილება;

დ) საჩივართა და განცხადებათა ბიურო;

ე) საქმეთა მმართველობა;

ვ) საფინანსო განყოფილება;

ზ) სარედაქციო - საგამომცემლო განყოფილება;

თ) სახალხო კომისარიატის სამდივნო;

ი) საიდუმლო-მშიფრავი განყოფილება;

კ) ბიბლიოთეკა;

ლ) არქივი.

19. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი სცემს ჟურნალ „სახელმწიფო კონტროლის მოამბეს“—სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის ორგანოს.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი თავისი საქმიანობის წლიურ ანგარიშს უდგენს სსრ კავშირის მთავრობას არაუგვიანეს საანგარიშო მომდევნო წლის 15 მაისისა. (საკდესი).

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ

უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ფასის დაწესებაზე და სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნის წესის შეცვლაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

კომიტეტმა წინადადება მისცა უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს სასტიკი კონტროლი დაწესონ სწავლების ფასის შეტანაზე, და ის სტუდენტები, რომლებიც დაწესებულ ვადაზე არ შეიტანენ სწავლების ფასს, გამორიცხონ უმაღლესი სასწავლებლებიდან.

კომიტეტმა დაადგინა სტიპენდიების დანიშვნის შემდეგი წესი: სტიპენდიებზე ჩაირიცხებიან ის სტუდენტები, რომლებმაც გამოცდებზე მიიღეს არანაკლებ ორიმესამედი შეფასებებისა „ფრიადზე“, ხოლო დანარჩენი შეფასებანი — არანაკლებ „კარგისა“; მეორე კურსიდან დაწყებული, ის სტუდენტები, რომლებმაც საგაზაფხულო საგამოცდო სესიაზე მიიღეს არანაკლებ ორიმესამედი შეფასებებისა „ფრიადზე“, ხოლო დანარჩენი შეფასებანი— არანაკლებ „კარგისა“. იმ სტუდენტ-სტიპენდიატებს, რომლებიც სადიპლომო პროექტს იცავენ ან სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ 1941 წლის 1 იანვრამდე, არსებული სტიპენდიები შეეინახებათ. ხელმოკლე სტუდენტები იმათი რიცხვიდან, რომლებიც ჩარიცხული არიან სახელმწიფო სტიპენდიაზე, თავისუფლდებიან სწავლების ფასისაგან.

შემდეგ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში დაიშვება სტუდენტების თავისუფალი დასწრება სასწავლო მეცადინეობაზე ზოგიერთ დისციპლინაში (არაუმეტეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინათა ერთი მესამედისა), ხოლო მათთვის სავალდებულოა პრაქტიკულ სამუშაოთა შესრულება და ყველა გამოცდის ჩაბარება სასწავლო გეგმით დაწესებულ ვადებში.

სტუდენტებს მიცემული აქვთ უფლება გადავიდნენ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ან სხვა იმავე ტიპის უმაღლეს სასწავლებელში ამ უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის ნებართვით.

სახალხო კომისარიატებს ნება დაერთოთ ის სტუდენტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს, მაგრამ სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებიათ ან სადიპლომო პროექტი არ დაუცავთ და გამოსთქვეს პრაქტიკულ სამუშაოზე გადასვლის სურვილი, გაგზავნონ წარმოებაში და უფლება მისცენ მათ დაიცვან სადიპლომო პროექტი ან ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდები ორი წლის განმავლობაში.

(„პრავდა“)

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲜᲔᲡ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ვლადივოსტოკი, 16 ოქტომბერი (საკდესი). გემ „ტურქსიბმა“ ვლადივოსტოკის ნავსადგურში ჩამოიტანა ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენის სსრ კავშირის პავილიონის ყველა ექსპონატი. ომიანობის გამო ძალიან შეფერხდა შესრულების ოსტატობის მხრივ განსაკუთრებით ძვირფას მხატვრულ ნაწარმოებათა ჩამოტანა. გემი იძულებული იყო დედამიწისათვის შემოევლო.

ნოემბერში ექსპონატები ჩატანილი იქნება მოსკოვს. ექსპონატებთან ერთად ჩამოტანილია სსრ კავშირის პავილიონის მოწყობილობის ნაწილი.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში

(საუბარი კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან, ამხ. კუუსინენთან)

15 ოქტომბერს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში დაიწყო მშრომელთა დეპუტატების საკავშირო, საორგანიზაციო მუშაობის მასშტაბი გაცილებით უფრო ფართო იქნება, ვიდრე იყო ამა წლის ზაფხულში, როცა სსრ კავშირის და კარელია - ფინეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების არჩევნები ტარდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ თუ მაშინ მხოლოდ 159 დეპუტატი იყო ასარჩევი, ახლა რესპუბლიკის საკავშირო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეული იქნება დაახლოებით 5.700 დეპუტატი.

საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები პირველად ტარდება რესპუბლიკის ახალ რაიონებში, რომლებიც ფინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებით სსრ კავშირის ხელში გადმოვიდნენ.

კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ახალ ტერიტორიაზე დროებითს მმართველობათა დახმარებით ზუსტად დაანწესა 7 ახალი რაიონის, 7 ქალაქის, 81 სასოფლო საბჭოს და 6 მუშური დაბის საზღვრები. აქ 101 საბჭოში დაახლოებით 2.200 დეპუტატი იქნება არჩეული.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანაა სისტემატურად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ საარჩევნო აქტივს უდიდეს მუშაობაში, ყოველდღიურად იზრუნონ საორგიტაციო - მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მასობრივ ტირაჟად გამოიცა კარელია -

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ტელეგრაფით კიევიდან

თბილისი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

მზისაგან მოელვარე კავკასიის მთებისაკენ, ამწვანებული ველებისაკენ, საქართველოს სოფლებისა და ქალაქებისაკენ სიმღერად მოჰქრიან უკრაინის ველებიდან ამაღელვებელი სიტყვები ორი მოძმე ხალხის დიადი სტალინური მეგობრობის შესახებ.

და მაღლა სწევენ რა ამ მეგობრობის დროშას, სულით და გულით უმღერიან რა ქება-დიდებას ლენინ-სტალინის მშობლიურ პარტიას, უკრაინის მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი ამ სასიხარულო, დღესასწაულისწინა დღეებში მრავალ გულთბილ წერილს სწერენ თავიანთ ჭართველ ძმებს, რომლებთან უკვე ორი წელიწადია ჩაბმული არიან შეჯიბრებაში. მათ სურთ ინახულონ ერთმანეთი, ისაუბრონ ქვანახშირის ფენების დეგმირულად დამორჩილების, პურის უხვი მოსავლის, უსაზღვრო საკოლმეურნეო მინდვრების, აყვავებული საბჭოთა ხელოვნების შესახებ. და უკრაინელი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი — მთელი უკრაინელი ხალხი თავიანთ ქართველ ღვიძლ ძმებს ეუბნებიან: ჩამოდით დიადი დღესასწაულისათვის უკრაინის საბჭოთა მიწა-წყალზე, ნახეთ, რით გახდა მდიდარი ჩვენი რესპუბლიკა ორი წლის მანძილზე. ჩავიხედოთ ჩვენს ხელშეკრულებებში, ვნახოთ, ვინ როგორ იმუშავა, ხოტბა შევასხათ საუკეთესოებს.

უკრაინა დღითი-დღე უფროდაუფრო მეტ მოსაწვევ მიმართვებს გზავნის საქართველოში. ამ მიმართვებს გზავნიან დონეცის მაღაროელები, კრივოროჟიეს და „ნიკოპოლმარგანეცის“ სამთამადნო მუშები, სტალინოს ოლქის რკინიგზელები, ზაპოროჟიეს, კიევის, კამენეცპოდოლსკის, დნეპროპეტროვსკის და სხვა ოლქების კოლმეურნეები. კამენეცპოდოლსკის ოლქის, ჩემეროვეცკის რაიონის ლენინის სახ. არტელის კოლმეურნეები, უერთებენ რა თავიანთ ხმას მთელი უკრაინის ხალხის მიერ მიპატიჟებას, გვიამბობენ მათი მრავალი კარგი მიღწევის, საკოლმეურნეო სამდიდრის შემდგომი ზრდის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ლენინის სახელობის არტელის მუშაობას, დააჯილდოვა რა იგი წელს ლენინის ორდენით. გამდიდრებულმა ლტავის მიწამ საკოლმეურნეო ოჯახი დააჯილდოვა უხვი მოსავლით. მარია შუტიაკის რგოლმა ჰექტარზე მოიყვანა 460 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამავე კოლმეურნეობაში ვასილ იურჩენკოს ბრიგადამ ჰექტარიდან მიიღო 28 ცენტნერი ქერი, 30,5 ცენტნერი ფეტვი, 24 ცენტნერი შვრია, 21 ცენტნერი ჭვავი. საღიშე ნაკვეთზე, სადაც მუშაობას ხელმძღვანელობს აგრონომი ჟუკი, მიიღეს 26,8 ცენტნერი ხორბალი.

ხოლო რამდენ სასიხარულო წარმატებას მიაღწიეს კოლმეურნეობათა მეცხოველეებმა! მწველავი ტატიანა კრივონოჟკა, რომელიც ამ დღეებში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნდა, თავისი ძროხებისაგან „პლუტოვკისა“ და „კრასავიცისაგან“ დღეღამეში ღებულობს 34-35 ლიტრ რძეს თვითეულისაგან. ლენინის სახელობის არტელის საკოლმეურნეო ოჯახში სამი ორდენოსანია, ათი კაცი დაჯილდოებულია მთავარი საგამოფენო კომიტეტის მედალებით. როგორ არ გაუზიარონ ქართველ ძმებს ამ გამარჯვებათა სიხარული! და აი ლტაველები სთხოვენ მზიანი მთებისა და ველების შვილებს — ესტუმრონ მათ საკოლმეურნეო სადღესასწაულო მხიარულებაზე.

ტრესტ „დონბასანტრაციტის“ კაგანოვიჩის სახელობის მაღარო № 16-დან იუწყებიან თავიანთ გამარჯვებებზე. 12 ოქტომბრისათვის აქ ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. წლის დამლევისათვის მაღაროს კოლექტივი ქვეყანას მისცემს ათასობით ტონა ქვანახშირს პროგრამის ზევით. კრივოროჟიეს ბაღეინის ყველა მაღარომ ოქტომბრის 13 დღეში გადაჭარბებით შეასრულა მადნის ამოღების გეგმა. ამავე პერიოდში გადაჭარბებით შეასრულეს თავისი პროგრამა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მეტალურგებმა. ცუდად როდი მიჰყავთ საქმე ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის“ № 4 მაღარო „კრასნი ოქტომბრის“ მაღაროელებს. ეს მაღარო დღესასწაულზე იწვევს ტრესტ „ტყიბულნახშირის“ ლენინის სახელობის მაღაროს მაღაროელებს.

პოლტავის ოლქის დიკანკის რაიონის არტელ „ოქტაბრსკი ლუჩის“ კოლმეურნეები წარმატებით ამთავრებენ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ამასვე სიხარულით იუწყებიან კოლმეურნენი საბჭოთა უკრაინის სხვა ოლქებიდან. ყველაფერი ეს არის ხალხის საჩუქრები დიადი ოქტომბრისათვის, ყველაფერი ეს არის პატაკი ჭართველ ძმებისადმი, რომლებსაც მოუთმენლად მოელიან უკრაინაში — საწარმოებში, მაღაროებში, სამადნეებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და კულტურულ დაწესებულებებში, აყვავებული რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება

კომუნისტებმა და კომკავშირელებმა რეკორდები დაამყარეს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

პარტიის წევრებმა, საქვაბე საამქროს საკომპლექსო ბრიგადის უფროსებმა გ. წულაძემ, ი. სელიხოვმა და ი. ფილიმონოვმა - ვალდებულება იკისრეს ოქტომბერში გეგმის ზევით გამოუშვან 3 ქვაბი. სახელოვნო სოსტატო საამქროს პარტჯგუფორგმა, ბრიგადირმა ამხ. ე. სოხაძემ ვალდებულება იკისრა დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები საორთქლმავლო ქვაბების მოსამზადებლად.

ამ ვალდებულებათა შესრულება წარმატებით მიმდინარეობს. მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან კომუნისტი ბრიგადირები: ვ. ჭებაძე, ვ. ფილიპჩუკი, დ. მარტიროსოვი და სხვ. მათ უკვე დაამთავრეს მუშაობა 18 ქვაბზე და ამწყობ საამქროს 13 ქვაბი გადასცეს. საუკეთესოდ მუშაობს აგრეთვე საამქროს კომკავშირის ორგანიზაცია. საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ხარატი ამხ. ხატაშვილი ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ორთქლმავალთა ამწყობ საამქროს კომუნისტებმა. პარტიის წევრმა ზეინკალმა ამხ. ს. ამიროვმა იკისრა თავის ბრიგადით ოქტომბერში გეგმის გადამეტებით მოამზადოს ორთქლმავლის 8 მილი. ამხ. ამიროვს ნაკისრი ვალდებულება 75 პროცენტით აქვს შესრულებული. კომუნისტმა ამხ. რ. საინოვმა იკისრა ოქტომბერში გეგმის გადამეტებით გარშემოსოს 2 ორთქლმავალი. ამხ. საინოვმა ეს ვალდებულება 63 პროცენტით შეასრულა.

ამხ. საინოვმა 9 ოქტომბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის აღსანიშნავად, ახალი საწარმოო რეკორდი დაამყარა: ქვაბებისა და ცილინდრების გარშემოსვის სამუშაოს, 105 საათისა და 50 წუთის ნაცვლად, 8 საათი და მოანდომა და გეგმა 1325 პროცენტით შეასრულა. ამხ. საინოვმა 13 მანეთის ნაცვლად 105 მანეთი გამოიმუშავა.

საამქროს კომკავშირის ბიუროს მდივანმა, ზეინკალმა ამხ. შ. ცხვედაძემ მემანქანის ჯიხურის, საქვაბისა და საჭრელი კარის სამუშაო, რაც 161 სამუშაო საათში უნდა გაკეთებულიყო, 32 საათში შეასრულა. მექვაბე ბრიგადირმა, პარტიის წევრმა ამხ. ზუბიევმა ორთქლმავლის ორი ჩარჩო, 219 საათის ნაცვლად, 40 საათში გააკეთა და გეგმა 547 პროცენტით შეასრულა. (საქდესი).

კალინინელები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო შეჯიბრება. საამქროებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები და ახლა წარმატებით იბრძვიან მათ შესასრულებლად. ქარხნის კოლექტივს განზრახული აქვს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავს შეხვდეს თვიური გეგმის საგრძნობი გადაჭარბებით.

საამქროები ერთმანეთს ეჯიბრებიან პროდუქციის მეტი რაოდენობით გამოშვებისათვის. ლურსმნების საამქრომ ვალდებულება აიღო გეგმის ზევით გამოუშვას 5 ტონა ლურსმანი. ასევე კარგ მაჩვენებლებს სურს მიაღწიოს მექანიკურმა საამქრომაც; აქ გადასწყვიტეს გეგმის ზევით დაამზადონ ორი ჭვის ჩარხი. საწოლების საამქროს მიერ გამოშვებული იქნება 1000 ცალი მაღალხარისხოვანი საწოლი.

ქარხანაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ახალ ტექნიკურ მიღწევათა დასანერგავად. უთოებისა და საბავშვო სათამაშოების დამამზადებელ საამქროებში საგრძნობლად გაიზრდება პროდუქციის გამოშვების რაოდენობა. უთოების საამქრო გეგმის ზევით გამოუშვებს 30 უთოს, ხოლო საბავშვო სათამაშოების საამქრო დაამზადებს 500 ცალზე მეტ კომპლექტურ სათამაშოს.

საოქტომბრო შეჯიბრება წარმატებით გაიშალა ცალკეულ სტახანოველებს შორისაც.

ორი მილიონერი კოლმეურნეობის შეჯიბრება

(„კომუნისტის“ სპეც. კორრესპონდენტისაგან)

ორ წელზე მეტია, რაც ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის ორდენოსანი, მილიონერი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული მომძე რესპუბლიკის — უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის ტალალაევკის რაიონის კალინინის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობასთან.

აღნიშნულმა შეჯიბრებამ ორსანტიის კოლმეურნეებს შორის დიდი შრომითი აღმავლობა და ენტუზიაზმი გამოიწვია. შრომის სწორი ორგანიზაციისა და დისციპლინის კარგად დაყენებით მათ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ორსანტიის კოლმეურნეობიდან გასულ წელს მონაწილეობის უფლება მიიღო 13 კაცმა, გამოფენაში მონაწილეობას იღებდა კოლმეურნეობაც.

მიმდინარე წელს ორსანტიის კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილე იყო ფართო ჩვენებით. აქედან წელს გამოფენის მონაწილეა აგრეთვე 26 კოლმეურნე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებამ ორსანტიის კოლმეურნეებს მდიდარი გამოცდილება და ძვირფასი ცოდნა მისცა. მათ ეს გამოცდილება ფართოდ გააცნეს თავიანთი კოლმეურნეობის თვითეულ წევრს. გამოცდილების გაზიარებისა და საქმის სიყვარულის შედეგია, რომ მყნობელმა ი. კალანდიამ წელს, დღეში საშუალოდ ნაცვლად 600 ძირისა, 2000 ძირი ციტრუსი დაამყნო. ასეთივე მაჩვენებელი მოგვცა მყნობელმა შ. თოდუამ.

კიდევ უფრო უკეთეს წარმატებებს მიაღწია მყნობელმა ფ. წითაშვილმა. მან 17 აგვისტოს 5.514 ციტრუსი დამყნო, 19 აგვისტოს კი — 6.500, ამავე დროს უზრუნველჰყო ნამყენის 95-97 პროცენტით გახარება. ფ. წითაშვილმა მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობათან შეჯიბრებაში იკისრა ისე გარდაჰქმნას თავისი მუშაობა, რომ მომავალ წელს უზრუნველჰყოს დღეში საშუალოდ 7.000 ძირი ციტრუსის დამყნობა.

კოლმეურნეობაში საუკეთესოდ მუშაობენ 1939 და 1940 წლებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ბრიგადები (ბრიგადირები თ. შამათავა და ბ. პერტაია). საერთოდ კი კოლმეურნეობამ კარგი მუშაობით წელს არახისი ჰექტარზე, ნაცვლად 12 ცენტნერისა, 12,5 ცენტნერი მიიღო, თამბაქო, ნაცვლად 12 ცენტნერისა, 13 ცენტნერი. ასევე წარმატებით ასრულებენ კოლმეურნეობაში სხვა სამუშაოებსაც.

ორდენოსანმა კოლმეურნემ კიტი ხასიამ, რომელსაც 6 დედაღორი აბარია, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა. თვითეულ დედაღორზე საშუალოდ წელიწადში, ნაცვლად 15 გოჭისა, 18,5 გოჭი გამოზარდა, კ. საჯაიამ კი — 16 გოჭი.

კოლმეურნეობასთან მოწყობილია ქიმლაბორატორია. აქ სწარმოებს ცდები ციტრუსოვან და სხვა კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის. შედეგსაც კარგს მიაღწიეს — ჰექტარზე 12 ცენტნერის მაგიერ მიიღეს 36 ცენტნერამდე არახისი, ხოლო სიმინდი, 18-20 ცენტნერის ნაცვლად, 49 ცენტნერი და სხვ.

კოლმეურნეობაში საუკეთესოდ არის დაყენებული მასობრივი მუშაობა, კერძოდ კი სამხედრო-თავდაცვითი საქმე. მოწყობილია სამხედრო კაბინეტი, სადაც იმართება ლექცია-მოხსენებები, საუბრები და სხვ. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციაში გაერთიანებულია 1.015 წევრი. წელს მშობლიურ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გასაგზავნად მოამზადეს რამდენიმე ათეული ახალწვეული, რომელთა მკერდებს ამშვენებს სამხედრო და ფიზკულტურის ნიშნები. გარდა ამისა, მომზადებულ იქნა თავდაცვა-ავიაქიმის პირველი საფეხურის 275 ნაშნოსანი, 68 ვოროშილოვისებური მსროლელი, აგრეთვე მეტყვიამფრქვევეები. აქ რამდენჯერმე მოეწყო ლაშქრობა აირწინაღებით 3-5 კილომეტრზე და სხვ.

ორსანტიელთა წარმატება, ყოველდღიური გამარჯვებები ნათლად მოწმობენ მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შორის დადებული სოცშეჯიბრების დიად ძალას. ორსანტიელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ 1941 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მივიდნენ ახალი, ბრწყინვალე წარმატებებით.

მ. საკარული

ახალი საწარმოო ენთუზიაზმი ყუვარჩელში

აქარმარა, (ჩვენი სპეც. კორ.). „მუშაობის ჩქარი მეთოდების დაუფლებით ღირსეულად შევასრულოთ წინასაოქტომბრო სოციშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, მოვიპოვოთ უფლება გავგზავნოთ უკრაინაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, ჩვენი წარმომადგენლები“,—ასეთი ანშლაგით გამოვიდა მრავალტირაჟიანი გაზეთის „ზა ტკვარჩელსკი უგოლ“-ის ფურცელი, სადაც მოთავსებულია უკრაინის მაღაროელთა წერილი. ტყვარჩელის მაღაროელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს წინასაოქტომბრო შეჯიბრება, არაჩვეულებრივი სიხარულით მიიღეს აყვავებული უკრაინის მაღაროელთა მიწვევა. გაეცნენ რა ამ წერილს ცვლების მიხედვით მოწყობილ მიტინგებზე, სტახანოველებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი.

ბრიგადირმა სემენიხინმა, რომელმაც 10 ოქტომბერს გეგმა 252,3 პროცენტით შეასრულა, იკისრა ვალდებულება ოქტომბრის გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით. პირველი უბნის ბრიგადირი სემენიშინი, რომელმაც 9 ოქტომბერს მოგვცა სარეკორდო შესრულება—283,7 პროცენტი, სიტყვას იძლევა მიაღწიოს ახალ რეკორდებს. მესამე უბნის უფროსი ლავრენკო პირობას იძლევა გადაჭარბებით შეასრულოს წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. უკრაინელ მაღაროელთა წერილმა ახალი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია და უფრო დიდი გაქანება მისცა წინასაოქტომბრო შეჯიბრებას.

ა. პაცუკისისა და ს. ოთინაშვილის შეჯიბრება

(ზიათურა, „კომუნისტის“ კორრესპონდენტისაგან)

მიმდინარე წლის დასაწყისში ნიკოპოლის საოლქო გაზეთ „ბოლშევიკის“ ინიციატივით მიწერ-მოწერა გაიმართა ნიკოპოლის მარგანეცის მრეწველობის მესიმოვის სახელობის მაღაროს მოწინავე სტახანოველ ანდრია პაცუკისსა და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტალინის სახელობის მაღაროს ცნობილ სტახანოველ სერგო ოთინაშვილს შორის, რაც მათი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმით დამთავრდა.

ს. ოთინაშვილი ბელადის სახელობის მაღაროს მეშვიდე უბანში მუშაობს, იგი გამოირჩევა ჩქარმოუშავე ამწმენდთა შორის, ყოველდღიურ გეგმას 150-180 პროცენტით ასრულებს და, როგორც გამოცდილი ამწმენდი, ბევრ მუშას ეხმარება, აცნობს თავისი მუშაობის გამოცდილებას.

ამ დღეებში ს. ოთინაშვილმა წერილით მიმართა ნიკოპოლელ პაცუკისს. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებებმა, — სწერს იგი, — ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. თქვენთან შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება უკვე გავანაღდე, — წლიური გეგმა შვიდთვენახევარში შევასრულე. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის შესახვედრად ენერგიულად ვემზადები. ჩემი მიზანია: მივაღწიო გეგმის შესრულების 200-პროცენტიან მაჩვენებელს, ავამაღლო მარგანეცის ხარისხი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 17 ოქტომბერი. უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გუშინ გერმანიის ავიაცია განაგრძობდა ლონდონზე და ინგლისის სხვა რაიონებზე თავდასხმას. შუა ინგლისში ერთი სამხედრო ქარხნის მრავალ სამშენებლო და სახელოსნოში ხანძარი გაჩნდა. გერმანიის თვითმფრინავები მთელი ღამის განმავლობაში ყუმბარებს უშენდნენ ლონდონის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. სანაპირო არტილერიამ ლამანშის დასავლეთ მისასვლელთან სრული აოტეხა მტრის რამდენიმე გემს, რომელნიც ცდილობდნენ მაიბლოვებოდნენ სანაპიროს, და იძულებული ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ. ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის სამი შეიარაღებული სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 21 ათას სარეგისტრო ბრტყელ-ტონას უდრიდა.

16 ოქტომბერს, ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მთელ რიგ პუნქტებს გერმანიის ტერიტორიაზე, მაგრამ სამხედრო ობიექტებისათვის ზარალი არ მიუყენებიათ. კლავ დაზარალდა სხვადასხვა ქალაქის საცხოვრებელი უბნები. ჩამოგდებულია ინგლისის სამი თვითმფრინავი, გერმანიის რკინიგზის სადგურ დორდრეხტის, მეწყალული ზღვის რაიონში ინგლისის საპატრულო ავიაცია მოწინააღმდეგის სამ თვითმფრინავს შეხვდა. ორი მათგანი დაზიანებულია.

ამავე დროს ყუმბარები დაუშინეთ მასსუს სამხედრო - საზღვაო და საბრძოლის ველზე დასტოვა იარაღი, საომარი მასალა და სურსათი.

ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს პერიმის ტყეტყლზე და გედარეფის აეროდრომებს. გარდა ამისა, ერთერთმა ჩვენმა საჰაერო შეიარაღებამ ამ ადგილას მოულოდნელი თავდასხმა მოაწყინა და გაანადგურა ინგლისის 11 თვითმფრინავი. აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი.

იტალიის ავიაციის მეორე შეიარაღებამ ძეწმუნეს ზღვაში იერიში მიიტანა ინგლისის ორ სავაჭრო გემზე, რომლებსაც სამხედრო გემი ბადრაგობდა და ერთი მათგანი სერიოზულად დააზიანა. ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი.

ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს დირედუას, დედამარეს, ტესენეის, კასალას და გონდარს.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 17 ოქტომბერი. როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 16 ოქტომბერს, ღამით, ლონდონი კვლავ გერმანიის იერიშის მთავარი ობიექტი იყო. ჭალაქის ზოგიერთ რაიონში დაინგრა საცხოვრებელი სახლები. მოსახლობაში არიან მოკლულნი. სხვადასხვა პუნქტში რამდენიმე სამრეწველო საწარმოში დაიწყო ხანძარი ყველგან ჩაქრობილია. ზარალი უმნიშვნელოა.

ჩამოვდებულია მტრის სამი ყუმბარმშენები.

ინგლისის ავიაციამ 15 ოქტომბერს, ღამით, ყუმბარები დაუშინა ფლისინგენისა და ტერნეზენის (ჰოლანდია) სამხედრო ობიექტებს. მოწინააღმდეგის ყუმბარმშენები, რომელნიც ამაოდ ცდილობდნენ ჩვენი თვითმფრინავების განდევნას, იძულებული გახდნენ გარიდებოდნენ შემდგომ ბრძოლას. ყუმბარები დაეუშინეთ ლორიანის (საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა ატლანტის ოკეანის სანაპიროზე) ორ ძალსადგურს და ბრესტის (საფრანგეთი) რაიონის სამრეწველო საწარმოებს, აგრეთვე ნავსადგურში მდგარ გემებს.

15 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის სამხედრო - საზღვაო ძალების ყუმბარები დაუშინეს დიუნკერკის ნავსადგურს. ჰფიქრობენ, რომ ნავსადგურში ბევრად გაჩენილმა ხანძარმა დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ლონდონი, 17 ოქტომბერი. როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგცემს, 15 ოქტომბერს, ღამით, ცილს გარდა, ბომბარდირებულ იქნა გერმანიის დასავლეთ სანაპიროს გემთსაშენები და მაგდებურგის, ზალცბერგენის, ჰელენკირხენის ნავთსაცავები და ნაგთსაბადები ქარხნები, ჰამბურგისა და დუისბურგის დოკები, აგრეთვე გრეფენბრონის, კელნის, შენებეკის, ნოიჰალდენსლებენის, ლიუნენისა და დორსელდორფის სამხედრო ობიექტები.

თავდასხმა მოეწყო აგრეთვე 20 სხვადასხვა სარკინიგზო კვანძზე თვით გერმანიაში. ყუმბარები პირდაპირ მოხვედა საჭონლის მატარებელს ლიუნენის ახლოს. გარდა ამისა, ბომბარდირებულია გერმანიისა და ჰოლანდიის აეროდრომები, დოკები და გემები ჰოლანდიაში, ბელგიასა და საფრანგეთში. მფრინავთა სიტყვით, ამ თავდასხმის დროს მტრის მიერ ოკუპირებულ ნავსადგურებში დიდი ზარალი განიცადა.

გუშინ, დილით, გერმანიის თვითმფრინავები ცდილობდნენ ლონდონში შემოჭრას, მაგრამ უკუქცეულ იქნენ.

ინგლის-იტალიის ომი

ლონდონი, 17 ოქტომბერი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 15 ოქტომბერს ინგლისის თვითმფრინავებმა ხელახლა დაუშინეს ყუმბარები ბენგაზის. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა მოლოს, რკინიგზის სადგურსა და სათადარიგო ლიანდაგებს. წარმატებით დაეუშინეთ ყუმბარები აგრეთვე ბარდიას, სოლუმს, კაპუცოს, დერნას და ტობრუკს. აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს შენობებსა და რკინიგზის სადგურ დირედუაზე, მეწყალული ზღვის რაიონში ინგლისის საპატრულო ავიაციამ მოწინააღმდეგის სამ თვითმფრინავს შეხვდა. ორი მათგანი დაზიანებულია.

ამავე დროს ყუმბარები დაეუშინეთ მასსუს სამხედრო - საზღვაო და საავიაციო ყაზარმებს. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, გუშინ გიბრალტარმა ბომბარდირება განიცადა. ეს ყველაზე ძლიერი ბომბარდირება იყო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ავიაციამ გიბრალტარზე იერიში მიიტანა 24-25 სექტემბერს. (საქდესი).

ინგლისის სოფიელი დესპანის მიღება მეფე ბორისის მიერ

ლონდონი, 17 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, გუშინ მეფე ბორისმა მიიღო ინგლისის დესპანი ბულგარეთში რენდელი. როგორც ჰფიქრობენ, მისი დარბაზობა დაკავშირებულია ბალკანეთის ახლანდელ ამბებთან.

ვეიგანი ჭუნისს ჩავიდა

ლიონი, 16 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის საააგენტოს ცნობით, გენერალი ვეიგანი ალჟირიდან ტუნისს ჩაფრინდა. აქ იგი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების, სავაჭრო და მუსლიმანური წრეების წარმომადგენლებს, აგრეთვე ამერიკისა და შვეიცარიის კონსულებს.

იტალიის საარღვობის ცნობა

რომი, 17 ოქტომბერი (საქდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მოწინააღმდეგის საავიაციო ბაზებს ფუკაში, კასაბაში, ედ-დაბაში და მოწინააღმდეგის ნაგებობებს მაატენ ბიეგუშის და მერსა-მატრუხის ზონაში. ინგლისის ავიაციამ ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები დააყარა ქალაქ ტობრუკს. დაზიანებულია რამდენიმე ნაგებობა, 45 საცხოვრებელი სახლი, გახადგურებულია 9 საბანაკო ბარაკი. მსხვერპლი არ არის. ყუმბარები დააყარეს აგრეთვე დერნას. მსხვერპლი და ზარალი არ არის.

აღმოსავლეთ აფრიკაში ერთერთმა ჩვენმა რაზმმა იერიში მიიტანა ჭინგლისის ერთ პოსტზე, რომელიც დაგა რიეერ პოსტის სამხრეთ-აღმოსავლეთით არის.

მოწინააღმდეგი უკუვაქციეთ. მან

ზესტაფონელთა წარმავებები

ზესტაფონი, 16 ოქტომბერი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან ზაპოროჟიეს ოლქის (უკრაინა) კამენკა - დნეპროვსკაიას რაიონის კოლმეურნეობებთან შარშან აგვისტოში დადებული სოციალისტური ხელშეკრულების შესაბამოშებლად. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები: სოფ. საზანოს 25 თებერვლის სახელობისა, სოფ. ჭიწითის დიმიტროვის სახელობისა, სოფ. ცხრაწყაროს ბერიას სახელობისა, სოფ. დიდი განთიადის ხოზე დიასის სახელობისა—შეუდგნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას.

ირკვევა, რომ, მიუხედავად წლევანდელი არახელსაყრელი ამინდებისა, აქ მოსავლიანობის ზრდაში მაინც დიდი წარმატებები აქვთ. ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძნისა, ჩამოთვლილ კოლმეურნეობებში იღებენ 80 და მეტ ცენტნერ ყურძენს ჰექტარზე. ასევე ასრულებენ სიმინდის მოსავლის ზრდის ვალდებულებასაც.

კამენკა - დნეპროვსკაიას რაიონთან შეჯიბრებაში ჩაბმულია რაიონის ყველა კოლმეურნეობა. ახალი ვენახის გაშენების გეგმა კოლმეურნეობებს გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, 310-ის ნაცვლად გაშენებულია 312 ჰექტარი ვენახი. ამავე დროს გამზადებულა ნიადაგი 35 ჰექტარზე ახალი ვენახის გასაშენებლად. წარმატებით სრულდება აგრეთვე ვალდებულება 140 ჰექტარზე ჩაის პლანტაციის გაშენების შესახებ და სხვ.

უკრაინაში მიწვევის ამბავი კოლმეურნეობებში შრომითი ენტუზიაზმის ახალ აზვირთებას იწვევს; უკრაინელებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისა და მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვების ლოზუნგით გადიან კოლმეურნეები რთველსა და სიმინდის აღებაზე.

ზესტაფონელთა წარმავებები

ზესტაფონი, 16 ოქტომბერი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან ზაპოროჟიეს ოლქის (უკრაინა) კამენკა - დნეპროვსკაიას რაიონის კოლმეურნეობებთან შარშან აგვისტოში დადებული სოციალისტური ხელშეკრულების შესაბამოშებლად. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები: სოფ. საზანოს 25 თებერვლის სახელობისა, სოფ. ჭიწითის დიმიტროვის სახელობისა, სოფ. ცხრაწყაროს ბერიას სახელობისა, სოფ. დიდი განთიადის ხოზე დიასის სახელობისა—შეუდგნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას.

ირკვევა, რომ, მიუხედავად წლევანდელი არახელსაყრელი ამინდებისა, აქ მოსავლიანობის ზრდაში მაინც დიდი წარმატებები აქვთ. ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძნისა, ჩამოთვლილ კოლმეურნეობებში იღებენ 80 და მეტ ცენტნერ ყურძენს ჰექტარზე. ასევე ასრულებენ სიმინდის მოსავლის ზრდის ვალდებულებასაც.

კამენკა - დნეპროვსკაიას რაიონთან შეჯიბრებაში ჩაბმულია რაიონის ყველა კოლმეურნეობა. ახალი ვენახის გაშენების გეგმა კოლმეურნეობებს გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, 310-ის ნაცვლად გაშენებულია 312 ჰექტარი ვენახი. ამავე დროს გამზადებულა ნიადაგი 35 ჰექტარზე ახალი ვენახის გასაშენებლად. წარმატებით სრულდება აგრეთვე ვალდებულება 140 ჰექტარზე ჩაის პლანტაციის გაშენების შესახებ და სხვ.

უკრაინაში მიწვევის ამბავი კოლმეურნეობებში შრომითი ენტუზიაზმის ახალ აზვირთებას იწვევს; უკრაინელებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისა და მომავალი წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვების ლოზუნგით გადიან კოლმეურნეები რთველსა და სიმინდის აღებაზე.

სოფ. ალამბარი, ჭობულეთის რაიონი. სურათზე: ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველი-კომკავშირელი მერიკო ნოღაიდელი, რომელმაც 290 შრომადღე გამოიმუშავა, მანდარინებს ათვალიერებს. ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ძველი და ახალი პროფკავშირულ მუშაობაში

არც ისე დიდი ხნის ამბავია ეს. თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის მუშაკები ოთხ ოთახში ძლივ-ძლივობით თავსდებოდნენ. ქარხნის მუშათა ხელფასის უწყისში სიითი ნომერი ოცამდე აღწევდა. მათი ხელფასი დაახლოებით იმდენივე იყ

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

აჭარის, ქუთაისის, გურჯაანისა და სამტრედიის პარტორგანიზაციებში ლექციური მუშაობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს, განიხილა რა აჭარის, ქუთაისის, გურჯაანისა და სამტრედიის პარტორგანიზაციებში ლექციური მუშაობის საკითხი, აღნიშნა, რომ საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტი, ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, სამტრედიისა და გურჯაანის რაიკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლექციური მუშაობის საკითხს, ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობენ ლექტორთა ჯგუფების მუშაობას, საკმაოდ არ ამოწმებენ ლექციების იდეურ შინაარსს, რის გამოც ჩატარებული ლექციების ხარისხი ხშირ შემთხვევაში დაბალია.

ამხ. ართილაყვას (ბათუმი) ლექციაში თემაზე „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“ მოცემული არ იყო სოციალიზმისა და კომუნიზმის ამომწურავი დახასიათება, საკმაოდ გაშუქებული არ იყო სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პრობლემა და ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხი.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. ნადირაძემ, რომელიც ვერ გაერკვია იმ საკითხში, თუ რას წარმოადგენდა რუსეთში „ცენტრიზმი“, დაბნეულად განმარტა ეს საკითხი თავის ლექციაში. ლექტორი ხურციძე (ქუთაისი) ლექციაში „მეწმენდეები და ბოლშევიკები რეაქციის წლებში“ ანვითარებდა იმ აზრს, რომ „ღვთისმშობლები“ და „ღვთისმაძიებლები“ წარმოადგენდნენ „რევოლუციურ რელიგიურ მიმდინარეობას“.

ლექტორი ბოჭორიშვილი (სამტრედია) ლექციაში თემაზე ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ, შეეხო რა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს, ამტკიცებდა, რომ 1917 წლის აპრილის დღეებში არ შეიძლებოდა ლაპარაკი აჯანყებაზე იმიტომ, რომ ვითომ რუსეთში მუშათა კლასი არ არსებობდა.

გურჯაანის რაიკომის ლექტორის ამხ. მატატაშვილის აზრით ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა „მუშათა კლასსა და გლეხობას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა“.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ლექტორი (ნადირაძე—ქუთაისი, მატატაშვილი — გურჯაანი) საფუძვლიანად არ ემზადება ლექციებისათვის, ამომწურავ პასუხს არ აძლევს აუდიტორიის შეკითხვებზე.

ლექციების ორგანიზაციის სუსტად დაყენების გამო ბათუმის პარტორგანიზაციაში მიმდინარე წელს 34 ლექცია ჩაიშალა, ხოლო სამტრედიაში—12.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექციები არ ტარდება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ყველა თავის მიხედვით. 207 ლექციიდან, რაც აჭარის საოლქო კომიტეტმა ჩაატარა, მხოლოდ ერთი ლექცია იქნა წაკითხული ოქტომბრამდელი პერიოდის თემაზე. ასევე ნაკლებად ტარდება ლექციები ოქტომბრისშემდგომი პერიოდის თემებზე. ეს პირველ რიგში შეიძლება ითქვას ქუთაისის შესახებ, სადაც 106 ლექციიდან მხოლოდ 45 ლექცია ჩატარდა ოქტომბრისშემდგომი პერიოდის თემებზე.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ლექციების კითხვა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში ნაწილობრივად გადააკისრა საქალაქო განათლების განყოფილების სალექციო ბიუროს, რის გამო თეორიულ საკითხებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე ლექციებს კითხულობენ ისეთი ლექტორები, რომლებსაც პარტიის საქალაქო კომიტეტი არ იცნობს. ასეთების რიცხვს ეკუთვნიან ერისთავი, ტუქვაძე და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის და ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფების მიერ ლექციების განხილვა ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, ლექტორთა ჯგუფები კონკრეტულ მითითებებს არ აძლევენ ლექტორებს.

მომდინარე წელს საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტს, სამტრედიისა და გურჯაანის რაიკომებს ერთხელაც არ მოუსმენიათ ბიუროზე ის საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს ლექციური მუშაობა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ, აღნიშნა რა სალექციო მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, წინადადება მისცა საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომს, ქუთაისის საქალაქო კომიტეტს, სამტრედიისა და გურჯაანის რაიკომებს გაიხილონ ბიუროზე ლექციური მუშაობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ მუშაობის გარდასაქმნელად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრისა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებათა შესაბამისად, აღმოფხვრან თვითდინება ამ მუშაობაში.

იმისათვის, რომ ამაღლებულ იქნას ლექციების ხარისხი და კონტროლი გაეწიოს მათს იდეურ შინაარსს, პრაქტიკაში შემოიღონ ლექტორთა ჯგუფების მიერ ლექციების წინასწარი განხილვა, არ დაუშვან ისეთი ლექციების წაკითხვა, რომლებიც სათანადოდ არ არის მომზადებული. ლექტორთა ჯგუფებში უნდა ხდებოდეს აგრეთვე წაკითხული ლექციების გარჩევა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ გაფრთხილება მისცა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რათა პრაქტიკაში შემოიღონ ლექციების ჩატარების თვიური კალენდარული გეგმების განხილვა ბიუროზე, აგრეთვე შეამოწმონ ამ გეგმების შესრულება.

საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ბიუროზე უნდა განიხილონ ლექციური მუშაობის მდგომარეობა კომკავშირში და დასახონ ღონისძიებანი ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ გაფრთხილება მისცა აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიგაზეთების რედაქციებს, რათა სისტემატურად ბეჭდონ მასალები ლექციური მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა შესრულებაც უზრუნველჰყოფს სალექციო პროპაგანდის გადაჭრით გაუმჯობესებას, მის არსებითად გარდაქმნას.

სისწრაფით ვიმუშაოთ პარტიაში მიღების საკითხებზე

(ტოპრი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად აუმჯობესებენ პარტიის შემადგენლობას, ამაღლებენ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატთა შეგნებულობის დონეს და ინდივიდუალური შერჩევის წესით საკ. კ. პ. (ბ)-ში იღებენ კომუნიზმის საქმისათვის ერთგულ ადამიანებს.

პარტრაიკომმა უკანასკნელი სამი თვის მანძილზე პირველადი პარტორგანიზაციების დადგენილებათა საფუძველზე 53 კაცი მიიღო პარტიის რიგებში, მათ შორის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, სტალინური სტიპენდიატი ვ. ოქროპირიძე, ორდენოსანი ელენე მეშვილდიშვილი, სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ა. პაპუნაშვილი, ხელოუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ ბრიგადირი ა. ალიხანაშვილი; პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრად მიიღეს გორის მტს-ის № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ივანე მამუკაშვილი, რომელმაც თავისი კომბაინით მიმდინარე წლის მოსავლის აღების გეგმა 140 პროცენტით შეასრულა. ამხ. მამუკაშვილის სატრაქტორო ბრიგადას მზრალად ხვნის გეგმა ამჟამად 153 პროცენტით აქვს შესრულებული.

პირველადმა პარტორგანიზაციებმა (გორის საკონსერვო ქარხანა, გორის სახელმწიფო პედინსტიტუტი, ხელოუბანი და სხვ.) და რაიკომმა გააუმჯობესეს პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმე. მაგრამ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საკ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების საქმეში ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ“ არასწორი დასკვნები გააკეთეს. 20 პირველადს პარტორგანიზაციას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პარტიის რიგებში არცერთი კაცი არ მიუღია. ესენი არიან სოფელ ნადარბაზევის, რიეთის, ახალხიზის, ქვეშის, ხიდისთავის საკოლმეურნეო, კავშირგაბმულობის გორის განყოფილების, ნავთსადენის, გორის სამხერხაო ქარხნის და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

ყოველ პარტიულ ხელმძღვანელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს არა პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმის შეჩერებას, არამედ პარტიის რიგებში ხელაღებით მიღების მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას.

რაიონში აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი პარტიაში მისაღები ამხანაგების შერჩევისადმი, მათთვის საჭირო დოკუმენტების გაფორმებისადმი ზერელე დამოკიდებულებას. ამ არაჯანსაღ მოვლენას ვხვდებით ტყვიავის ტერიტორიულ, ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის გორის სადგურის, შინდისის ტერიტორიულ და გორის ავტობაზის პირველად პარტორგანიზაციებში.

რაიონში კვლავ არასაკმაო მუშაობა ტარდება პარტიის წევრობის კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდისათვის. ამის შედეგად, პირველადს პარტორგანიზაციებში 159 სტაჟგადაცილებული კანდიდატია, მათ შორის კანდიდატები 1931-1932-1936-1937 წლებიდან 18, ხოლო 1938 წლიდან 141.

გორის რაიონის პირველადმა პარტორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა იმუშაონ პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხებზე, აღზარდონ და ბოლშევიკურად გამოაწრთონ პარტიის წევრობის კანდიდატები.

ს. ჟურაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

13 ოქტომბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების მომდინარეობა კაგანოვიჩის და ლენინის სახელობის მაღაროებში და 2. ანგარიში 1940 წლის 20 აგვისტოდან 8 ოქტომბრამდე პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. რ. დარბაიძე. საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა დღაროს დირექტორი ამხ. ქამუშაძე.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგებისა: ს. ლაბაძის, ა. ყაველაშვილის, ს. გოგებაშვილის, შ. შეყლაშვილისა და სხვათა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კაგანოვიჩის და ლენინის სახელობის ქარხ-მაღაროებში თავდაპირველად სუსტად გაიშალა მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გატარებისათვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სხილაძე.

პლენუმმა მოისმინა საკითხების ირგვლივ მიღო სათანადო ღონისძიებანი.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო 46 მოწინავე მამხანაგი, მათ შორის 24 მაღაროელია. ახლად მიღებულთა შორის არიან ისეთი გამოჩენილი სტახანოველები, როგორიცაა დ. ხვედელიძე, ა. მაჭარაშვილი, დ. გურული და სხვები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ა. გოცაძემ, გრ. შეყლაშვილმა, შ. მეცხოვრიშვილმა, პ. კვიფიანძემ და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის ქალაქკომის მდივანმა ამხ. ა. სხილაძემ.

პლენუმმა მოსმენილი საკითხების ირგვლივ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ქასპი. სურათზე: პარტკაბინეტში მეცადინეობის დროს.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

თათბირი ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე

14 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონში გაზ. „კომუნისტის“ რედაქციისა და რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ ინიციატივით ჩატარდა მრავალტირაჟიანი და ქედლის გაზეთების რედაქტორების, რედკოლეგიის წევრების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების და აგიტატორების საშალაქო თათბირი.

თათბირზე მოსმენილ იქნა ზუგდიდის ქალაქის კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის ჰ/მგ. რედაქტორის ამხ. ვ. ბუკიას და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ქედლის გაზეთის რედაქტორის ამხ. მ. ქვარაცხელიას მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან მათი გაზეთები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში ძალიან დაგვიანებით ან სულ არ გამოდის ქედლის გაზეთი (თეატრი, ქალაქის კომბინატი და სხვ.). ამ გაზეთების პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ან სულ არ ირიან დაინტერესებული თავიანთი ქედლის გაზეთების მუშაობით, არ ისმენენ რედკოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებებს და სხვ., ხოლო რაიონული გაზეთის რედაქცია ზოგიერთ ქედლის გაზეთებს საკმაოდ არ ეხმარება მუშაობაში, მათ შესახებ ი შვიათად ბეჭდავს მიმოხილვებს.

თათბირმა ორივე საკითხის ირგვლივ მიიღო სათანადო ღონისძიებები.

ახმეტის ჯილახის რადიოპაქტივობა

ახტალის კურორტზე (გურჯაანის რაიონი) გაემგზავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის რადიომეტრული ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობს ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ვ. ვ. ქებულაძე.

სპეციალური ელექტროსკოპის საშუალებით ექსპედიციის მონაწილენი შეისწავლიან ახტალის სამკურნალო ტალახს მის რადიოაქტიურ თვისებათა გამოსარკვევად.

მუშაობის შედეგი მოხსენდება დაინტერესებულ სამკურნალო ორგანიზაციებსა და კურორტოლოგიის ინსტიტუტს. შედეგები გამოიცემა აგრეთვე ცალკე წიგნად. (საქდესი).

ჩვენ გვწერენ

რაჭიმ ყურაღღებას არ აქცევენ?

თბილისის წყალსადენის ტრესტის პირველ საექსპლოატაციო უბანში (უფროსი ამხ. ა. ჯაში) ყველაფერი რიგზე არ არის.

უბნის უფროსი ამხ. ა. ჯაში თავისი მოწოდების სიმაღლეზე არ დგას. მის თვალწინ ხდება სასელმწიფო ქონების განიავება, ის კი ყურს იყრუებს, ვითომც ვერ ამჩნევს. საწყობის აღწერის შედეგად აღმოჩნდა წყალსადენის გამოუყენებელი მილების და სხვა მოწყობილობათა ნაწილების ე. წ. „ტეხის“ დიდი დანაკლისი. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავე მოეწახათ და პასუხისგებაში მიეცათ, გასწერეს ორდერი № 61, რომლითაც „ტეხი“, რომლის საერთო წონა 1089 კილოგრამს უდრიდა, გააფორმეს 150 კილოგრამის წონით.

აღნიშნულ „ტეხს“ დიდი მნიშვნელობა აქვს: მიაქვთ წყალსადენის ტრესტის მთავარ სახელოსნოში, სადაც ხდება მისი გადადნობა და ახალი ნაწილების დამზადება.

აქ ასეთი ფაქტიც მოხდა: საწყობს დააკლდა ტყვიის ნაჭრები. ვინ წაიღო, ამის გამორკვევაზე არ უზრუნვიათ. შეადგინეს აქტი. რომელშიაც ჩაწერეს, რომ „ტყვიის ნაჭრები, რომლებიც სრულიად უფარგისია, შეადგენს 22,05 კილოგრამს, კომისიამ სცნო სრულიად უფარგისად სიდამპლის გამო, მათი გამოყენება არ შეიძლება, ჩამოეწეროს საწყობს“. ამხ. ჯაშიც დათანხმა ამ „დასკვნას“ და აქტს წაუწერა: „ჩამოწეროს 10/IX“. ამ დასკვნას არ დაეთანხმა მხოლოდ საინვენტარო კომისიის თავმჯდომარე, უბნის უფროსის მოადგილე ამხ. ბ. მეიშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგაც არ ეროდებოდა ამხ. ჯაში ე. წ. უხელფასო შვებულებების დარიგებას. მან ბრძანება № 259-ით ჯიოეებს მისცა 2 დღით „უჯამაგირო“ შვებულება, ბრძანება № 232-ით ხელოსან მარტყოფსოვს—15 დღით, ოთხიოდ—ორი კვირით და სხვ.

უბნის ზოგიერთი თანამშრომლები რომ ეწევიან წვრილმან ქურდობას, კლიენტებისაგან ფულის გამოძალვას და სხვა ბოროტმოქმედებას, ამის დამადასტურებელი ფაქტებიც აქ ბლომად მოიპოვება.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ტრესტს სრულიად უყურადღებოდ აქვს მიტოვებული აღნიშნული უბანი. ეს რომ ასე არ იყოს, ამ უბანში მოკალათებულ დამნაშავეებს ალბად დღემდე სათანადოდ დასჯიდნენ.

გ. ნახალოვაძილი.

გაზეთებს დაგვიანებით ვღებულობთ

სოფ. ენისელის, საბუის, გრემის, ალმატის, გრძელი ჭალისა და შაქრიანის მშრომელები გაზეთებს ხუთ-ექვს დღეში მხოლოდ ერთხელ ღებულობენ.

ყვარლის ფოსტის გამგე ამხ. ვ. ცხვითარიძე გაზეთების დაგვიანებით მიწოდებას უტრანსპორტობით ხსნის. ყოველგვარი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ყვარლის ფოსტა უზრუნველყოფილ იქნას ტრანსპორტით და გაუმჯობესდეს მშრომელებისათვის გაზეთებისა და საფოსტო გზავნილებათა დროულად მიწოდება, მაგრამ თავს არავინ იწუხებს.

გ. ნერსესაშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თვითმომარაგებლები სასჯელად უნდა დაისაჯონ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 8 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჭიათურის რაიონ-კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. იაკობიძემ და მისმა მოადგილემ ვ. მოდებაძემ კოოპერაცია საწველ ფურად გადააქციეს, დწეოლნენ თვითმომარაგებას, კოლმეურნეებზე გასაცემ საქონელს ნაცნობ-მეგობრებს აძლევდნენ და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. მახათაძე გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ ამ დღეებში განიხილა ლ. იაკობიძისა და ვ. მოდებაძის საკითხი, მოხსნა ისინი სამუშაოდან და მათი საქმე გადასცა ჭიათურის რაიონის პროკურორს.



Ш. БУЦХАЯДЗЕ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სექტორის გამგე.

ლექციური პროპაგანდის მაღალი ხარისხისათვის

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ დამკვიდრდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ლექციური სისტემა. ლექტორთა ჯგუფები, რომლებიც შეიქმნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, თბილისის კომიტეტთან, საოლქო და საქალაქო კომიტეტებთან, უკვე ენერგიულ მუშაობას ეწევიან. კარგად მოწყობილი ლექციები მსმენელებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ასეთ ლექციებს საშუალოდ 300-500 მსმენელი და მეტიც ესწრება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც სწორად გაიგეს სტალინური ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების ძირითადი აზრი, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ლექციებისადმი ხელმძღვანელობაში ცენტრალიზაციის დამყარებას. ბოლო ელება კუსტარულობას და ფორმალიზმს. სერიოზულად უდგებიან ლექციების თემატიკის შედგენას, ხშირად იხილავენ ლექციების იდეურ-თეორიულ შინაარსს და ა. შ. მაგრამ ლექციური პროპაგანდის სისტემაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს.

1940 წლის განმავლობაში საქ. კ. პ. (ბ) აჭარის ოლქკომის ხაზით ჩატარებულია 207 ლექცია. თვიურად 18-20 ლექცია ტარდება. სალექციო გეგმები მტკიცდება ოლქკომების ბიუროების მიერ, მაგრამ თემატიკა ზოგჯერ მაინც ერთფეროვანია. აღებულია კურსი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდზე. ეს უსათუოდ კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ წინაპერიოდი სრულიად მივიწყებულია. მაგალითად, 207 ლექციიდან მხოლოდ ერთი ლექცია შეეხება ცარიზმის დროინდელ პერიოდს. გეგმაში არ არის გათვალისწინებული პოპულარული ლექციები. მცირეა ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საკითხებზე. მაგალითად, მარტში ჩატარებულ 28 ლექციიდან 15 ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს შეეხება.

მთელ რიგ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი აგრეთვე ლექციების ორგანიზაციის ხაზითაც. ლექციებისათვის აუდიტორიის შესაკრებად არ იყენებენ ისეთ საშუალებას, როგორიც არის წინასწარ განცხადებების გაკვრა, გაზეთში, რადიოს საშუალებით გამოცხადება, აგიტატორები და-სხვ. ამის მიზეზია, რომ მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული ლექციებიდან ბათომში 34 ლექცია ჩაიშალა. არის შემთხვევა, რომ ლექციაზე ცხადდება 6-7 კაცი. მაგალითად, 13 სექტემბერს საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტში მოწვეულ ლექციაზე სულ 2 კაცი გამოცხადდა. ხშირი მოვლენა არის, როდესაც გამოცხადებულია ერთი თემა და ლექტორი კი მოულოდნელად მეორე თემაზე კითხულობს ლექციას. ხდება ასედაც: გამოცხადებული დღის მაგიერ ლექცია ჩატარდება 3-4 დღის შემდეგ და სხვ. მაგალითად, 15 ივნისს დანიშნული ლექცია ჩატარდა 17 ივნისს, 26 ივლისის მაგიერ — 29 ივლისს და ა. შ.

საოლქო და საქალაქო კომიტეტები გეგმის ზუსტად განხორციელებას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, აჭარაში, სოფ. დიაკნისში დანიშნული ლექცია ჩატარდა სოფ. წანარისში, სოფ. ხიხაძირშის ნაცვლად — შუბანში, სოფ. გონიოს მაგიერ — სოფ. თხილნარში და სხვ. სალექციო გეგმას ყოველთვიურად ამტკიცებენ, მაგრამ არ ხდება განვლილი თვის გეგმის შესრულების შედეგთა მოსმენა ბიუროს სხდომაზე.

ლექტორთა ჯგუფში ზოგიერთ ლექციას იხილავენ, მაგრამ ეს განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ლექტორს არ ეძლევა შენიშვნები დახმარების მიზნით, არ ხდება განხილული ლექციების აღრიცხვა. არ იციან თუ რა შენიშვნები მიეცა ამა თუ იმ ლექტორს თემების გარჩევის დროს, ვინ დაესწრო ლექციის განხილვას და სხვ.

1940 წლის განმავლობაში 207 ლექციიდან მხოლოდ 20 ლექცია არის განხილული და მათი განხილვაც, როგორც აღვნიშნეთ ზერელედ ჩატარდა.

ლექციების ხარისხს არ ამოწმებენ ადგილებზე. ამის შედეგად ზოგჯერ ადგილი აქვს მოუმზადებელი ლექციების ჩატარებას.

ბათუმის პარტრაიკომის შტატგარეშე ლექტორი ამხ. რიქკოვა კითხულობს ლექციას „საკ. კ. პ. (ბ) წესდებაზე“. ეს ლექცია მას სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოწერილი ჟურნალ „პარტიინოე სტროიტელსტვოს“ № 5-6-დან. დღემდე ეს ლექტორისათვის არავის შეუნიშნავს.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ამხ. ართილაყვას ლექცია. მის მიერ წაკითხულ ლექციაში თემაზე: „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“, არ არის დახასიათებული არც სოციალიზმი და არც კომუნიზმი, არ არის ახსნილი თუ რას ნიშნავს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა. ლექციაში არ არის გარკვეული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საკითხები და სხვ. ამხ. ართილაყვას თავის ლექციაში აქვს შეცდომები. არა ზუსტად აქვს ციტატები ამოღებული მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის შრომებიდან. ლექცია დაწერილია მძიმე ენით, არასწორად დალაგებული წინადადებები გაუგებარი ხდება მსმენელებისათვის.

ლექტორ ცერცვაძის მიერ ჩატარებულ ლექციაში — „მეთოთხმეტე ყრილობა და კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ“, ადგილი აქვს დამახინჯებებს. ერთერთ შეკითხვაზე „არსებობს თუ არა ახლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიშნები და რაში გამოიხატება იგი“, უპასუხებს: „ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიშნები იმაში გამოიხატება, რომ ჯერ კიდევ არსებობს განსხვავება მუშათა კლასსა და გლეხებს შორისო“.

საოლქო კომიტეტს ჰყავს ისეთი ლექტორები, რომლებიც ვერ ატარებენ მაღალხარისხოვან ლექციებს. მაგალითად, ამხ. ბადიტის მიერ წაკითხული ლექცია თავისი იდეურ - თეორიული შინაარსის მხრივ სუსტია და ამომწურავად ვერ აშუქებს საკითხებს.

ქუთაისის ქალაქკომის ხაზით მუშაობს შტატის ორი ლექტორი — ცირეკიძე და ქავლაძე. ქავლაძის ლექციებით მსმენელები არ არიან კმაყოფილი, რადგან იგი ხშირად მოუმზადებლად ატარებს ლექციებს.

ქუთაისის პარტგანათლების სახლთან შექმნილია შტატგარეშე ლექტორთა ჯგუფი 6 კაცისაგან. ქალაქკომის მიერ ლექციათა განხილვა ლექტორთა ჯგუფში წესად არ არის მიღებული. როგორც ქალაქკომის პარტგანათლების სახლის გამგე ამხ. კერესელიძე აცხადებს, მათი ლექტორები ამავე დროს პედინსტიტუტის ლექტორებია და ნდობით აღჭურვილთა რიცხვში ითვლებიან. ამავე დროს ლექციების რაოდენობა არ არის საკმარისი. თვეში სულ 20 ლექცია იკითხება, რაც ვერ აკმაყოფილებს ქუთაისის აქტივის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ქუთაისში მოიძებნებიან ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ წაიკითხონ ლექციები, მაგრამ ისინი რატომღაც სალექციო ბიუროს ხაზით კითხულობენ ფასიან ლექციებს და პარტგანათლების სახლის მიერ კი არ არიან გამოყენებულნი.

უნდა აღინიშნოს, რომ სალექციო ბიურო ლექციების ჩატარებას ავალებს ისეთ ლექტორებს, რომლებიც არ არიან ქალაქკომისათვის ცნობილნი. მაგალითად, სალექციო ბიუროს ხაზით ნადირაძის ჭალმა ავეჯეულობის მუშამოსამსახურეებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის პერიოდში“. ამხ. ნადირაძეს არა მარტო გაუშუქებელი დარჩა მთელი რიგი საკითხები, არამედ ის საკითხებიც, რომლებსაც შეეხო, არასწორად და დამახინჯებულად იყო გაშუქებული. საუბარში თავს იმართლებდა იმით, რომ ღელავდა.

ლექციების ჩატარებას ზოგჯერ წინ არ უძღვის მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგად დასწრება მეტად მცირეა. მაგალითად, ა. წ. 11 სექტემბერს ლექციაზე — „სოციალიზმი და რელიგია“. სულ 20 კაცი დაესწრო. დაუტვირთავია ქუთაისის პარტგანათლების სახლიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც პარტგანათლების სახლში დღეში 2-3 კაცი შედის.

სამტრედიის რაიკომთან არსებობს ლექტორთა ჯგუფი, მაგრამ იგი ფორმალურად მუშაობს. ოქმებში შეგიძლიათ ამოიკითხოთ ასეთი დადგენილებები: „ლექცია მოწონებულ იქნას“.

ლექციისათვის აუდიტორიის მომზადება დიფერენცირებულად არ ხდება. აუდიტორიაში თავს იყრიან მოსწავლე და მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი, ინჟინერი, დარაჯი, შიკრიკი და ა. შ. ხშირად ლექციის შემდეგ წარმოდგენებს და კინოებს აწყობენ. 13 სექტემბერს სოფ. ჯიხაიშის კლუბში ლექციის პარალელურად მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ.

ლექტორთა ჯგუფის მიერ ლექციების განხილვისადმი ზერელე დამოკიდებულება გავლენას ახდენს ლექციის ხასიათზე. ი ერთი ფაქტი: ლექტორმა ბოჭორიშვილმა თავის ლექციაში ასეთი აზრი განავითარა: „აპრილის დღეებში (1917 წ. აპრილზეა ლაპარაკი) აჯანყებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ მუშათა კლასი არ იყოო“. ეს აზრი მას თეზისებშიც აქვს ჩაწერილი. ლექტორთა ჯგუფმა განიხილა, მაგრამ... შეცდომა გაიპარა.

სუსტია აგრეთვე ამხ. ხაბეიშვილის მიერ ჩატარებული ლექციებიც. მაგალითად, მას სწორი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკების პარტია არის მმართველი პარტია.

არ არის ნორმალურად დალაგებული თვით პარტკაბინეტის გამგის ამხ. ქანთარიას ლექციაც. იგი ვერ იხილავს საკითხებს თანმიმდევრულად, გაურბის საკვანძო საკითხების ახსნა-განმარტებებს.

1940 წლის მანძილზე გეგმით გათვალისწინებული 148 ლექციიდან 70 ჩატარებულია არადანიშნულ ვადებში, ხოლო 33 ლექცია ჩაშლილია.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი გურჯაანის რაიონშიაც. რაიონული კომიტეტის მიერ შერჩეული და ბიუროს მიერ დამტკიცებულია თერთმეტი შტატსგარეშე ლექტორი. ზოგიერთი მათგანი დაბალი ცოდნით არის და მათი ლექციაც ნაკლებად კვალიფიციურია. ასეთები არიან ამხ. აბაშვილი, მეტრეველი, მატატაშვილი, ანთიძე, მიმინოშვილი.

ამხ. მატატაშვილის მიერ 10 სექტემბერს წაკითხული იქნა ლექცია (სოფ. კაჭრეთში) თემაზე: „გეზი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციისაკენ და მეჩვიდმეტე პარტყრილობა“. ლექცია დაბალი

Новости науки и техники

Новый способ получения каучука

Академик С. В. Лебедев и его сотрудники разработали новый способ получения синтетического каучука. Сырьем для производства каучука по этому способу служит этиловый спирт.

Новый способ получения каучука проще, чем способ, применявшийся до сих пор. Он дает возможность получать каучук высокого качества.

Новый способ получения ацетилена

Профессор Н. Д. Зелинский и его сотрудники разработали новый способ получения ацетилена. Ацетилен получается при пропускании паров бензина через раскаленную трубку.

Новый способ получения ацетилена дает возможность получать ацетилен в больших количествах.

Новый способ получения ацетона

Профессор А. Е. Фаворский и его сотрудники разработали новый способ получения ацетона. Ацетон получается при пропускании паров уксусной кислоты через раскаленную трубку.

Новый способ получения ацетона дает возможность получать ацетон в больших количествах.

Новый способ получения бутадиена

Академик С. В. Лебедев и его сотрудники разработали новый способ получения бутадиена. Бутадиен получается при пропускании паров этилового спирта через раскаленную трубку.

Новый способ получения бутадиена дает возможность получать бутадиен в больших количествах.

Новый способ получения хлоропрена

Профессор И. Л. Кондаков и его сотрудники разработали новый способ получения хлоропрена. Хлоропрен получается при пропускании паров винилацетилена и хлористого водорода через раскаленную трубку.

Новый способ получения хлоропрена дает возможность получать хлоропрен в больших количествах.

Новый способ получения изопрена

Профессор Г. Г. Густавсон и его сотрудники разработали новый способ получения изопрена. Изопрен получается при пропускании паров изопентана через раскаленную трубку.

Новый способ получения изопрена дает возможность получать изопрен в больших количествах.

Новый способ получения этилового спирта

Академик А. Н. Бах и его сотрудники разработали новый способ получения этилового спирта. Этиловый спирт получается при пропускании паров этилового эфира через раскаленную трубку.

Новый способ получения этилового спирта дает возможность получать этиловый спирт в больших количествах.

Новый способ получения этилового эфира

Академик А. Е. Фаворский и его сотрудники разработали новый способ получения этилового эфира. Этиловый эфир получается при пропускании паров этилового спирта через раскаленную трубку.

Новый способ получения этилового эфира дает возможность получать этиловый эфир в больших количествах.

Новый способ получения ацетальдегида

Профессор А. Е. Фаворский и его сотрудники разработали новый способ получения ацетальдегида. Ацетальдегид получается при пропускании паров этилового спирта через раскаленную трубку.

Новый способ получения ацетальдегида дает возможность получать ацетальдегид в больших количествах.

Новый способ получения этилена

Академик А. Н. Бах и его сотрудники разработали новый способ получения этилена. Этилен получается при пропускании паров этилового спирта через раскаленную трубку.

Новый способ получения этилена дает возможность получать этилен в больших количествах.

Новый способ получения бутилового спирта

Академик А. Е. Фаворский и его сотрудники разработали новый способ получения бутилового спирта. Бутиловый спирт получается при пропускании паров этилового спирта через раскаленную трубку.

Новый способ получения бутилового спирта дает возможность получать бутиловый спирт в больших количествах.

Новый способ получения этилового спирта

Академик А. Е. Фаворский и его сотрудники разработали новый способ получения этилового спирта. Этиловый спирт получается при пропускании паров этилового эфира через раскаленную трубку.

Новый способ получения этилового спирта дает возможность получать эт